საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№10 პერიოდული გამოცემა 2015 წ. ოქტომბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ოქტომბერი მართლაც გამორჩეული თვე იყო ჩვენთვის, რადგან ოფიციალურად გაიხსნა და ამოქმედდა **სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია.** ადამიანის უფლებათა განგრძობითი სწავლება, სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩვენი ქვეყნისთვის და ვფიქრობ, ადამიანის უფლებათა აკადემიის შექმნა დროული გადაწყვეტილებაა. სახალხო დამცველის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც სწორედ რომ ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვაა, კერძოდ კი, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ცნობადობის ამაღლება.

ადამიანის უფლებათა აკადემია სახალხო დამცველის სტრუქტურული ერთეულია, რომლის ფარგლებშიც საჯარო უწყებების წარმომადგენლებს, სტუდენტებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების თანამშრომლებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წევრებს საშუალება ეძლევათ გაიარონ სპეციალურად მათთვის შემუშავებული ერთკვირიანი კურსები ადამიანის უფლებების შესახებ. ტრენინგებს აღიარებული საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები გაუძღვებიან.

პირველი ტრენინგი **19 ოქტომბერს** გუდაურში გაიმართა მასწავლებლებისთვის, თემაზე **„ადამიანის უფლებების სწავლება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი სკოლებში".**

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
3. სახალხო დამცველის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები 4
4. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა 5
5. წარმატებული საქმეები 11
6. მნიშვნელოვანი თარიღები 12
7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 13
8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 14

ქართველმა და უცხოელმა ტრენერებმა მთელი საქართველოდან შერჩეულ 25 მასწავლებელთან განიხილეს ბავშვებისთვის ადამიანის უფლებების სწავლების ამოცანები, გამოწვევები, ხერხები და მეთოდოლოგია; განათლების უფლება, ინდოქტრინაცია და რელიგიური სიმბოლოების გამოყენება სკოლაში; დისკრიმინაციის აკრძალვა სხვადასხვა საფუძვლებით; ასევე, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი შრომით ურთიერთობებში, სახალხო დამცველის უფლებამოსილება, მიმართვის წესი და სხვა.

სასიამოვნოა, რომ ტრენინგის მონაწილე მასწავლებლები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ ჩვენი წამოწყებით. იმედი მაქვს, სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებისა და შესაბამისად ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

კიდევ ერთი სიახლე, ის გახლავთ, რომ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა და ბავშვის უფლებების ცენტრმა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფ არასრულწლოვანთა პანსიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი ჩაატარეს, პრობლემები გამოკვეთეს, გააანალიზეს და სპეციალური ანგარიშიც მოამზადეს. **26 ოქტომბერს ანგარიშის პრეზენტაცია გავმართეთ.**

ჩემი რეკომენდაციაა სახელმწიფომ შექმნას შესაბამისი მექანიზმი, რათა რელიგიური კონფესიების დაქვემდებარებაში არსებული პანსიონების სერვისი ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი გახდეს და პანსიონების ბენეფიციარები ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში აღიზარდონ.

არ შემიძლია გვერდი ავუარო **ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმეს** და მიმაჩნია, რომ მთავარია, სასამართლო განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების სრული დაცვით წარიმართოს. ამასთან, ვფიქრობ, ტელეკომპანიის ქონების არსებული მასშტაბით დაყადაღება საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას.

მინდა ვახსენო ჩემი **ვიზიტი უკრაინაში**, სადაც კონფლიქტურ და პოსტ კონფლიქტურ სიტუაციებში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლის შესახებ გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ პირთა საჭიროებებზე, კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ სამოქალაქო საზოგადოებასთან და ადგილობრივ უფლებადაცვით ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე მოხსენება წარმოვადგინე.

ოქტომბერში **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი** გავაფორმეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან. იმედი მაქვს, ჩვენ ინსტიტუციებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, ერთგვაროვანი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და საგანმანთლებლო საქმიანობის ფარგლებში ცნობიერების ამაღლებას.

საერთაშორისო ასპარეზზე დადებითი მოვლენა იყო **2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დაწყება**. გამოძიების დაწყების ნებართვისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი წარმოების პირველ პალატას პროკურორმა ფატუ

ბენსუდამ მიმართა. ვფიქრობ, გამოძიების დაწყება ხელს შეუწყობს სიმართლის დადგენას, მსხვერპლთა უფლებების აღდგენას და კონფლიქტის მხარეებსა და დაზარალებულ მოსახლეობას შორის სამშვიდობო პროცესების დაჩქარებას.

მისალმების დასასრულს მინდა ჩვენი ქვეყნის წარმატებაზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა. **28 ოქტომბერს** გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველო **გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად აირჩიეს**. მადლობას მოვახსენებ გაეროს–წევრ სახელმწიფოებს გამოცხადებული მხარდაჭერისთვის. ასეთი პატივი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რასაც იმედი მაქვს, თავს გავართმევთ.

2. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

2.1. რეკომენდაცია მსჯავრდებულებისთვის განაჩენის ასლის გადაცემისა და საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გაჭიანურების გარეშე გადაგზავნის თაობაზე

19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გორის რაიონული სასამართლოს მიერ მსჯავრდებულებისთვის განაჩენის ასლის გადაცემისა და საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გაჭიანურების გარეშე გადაგზავნის უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა მსჯავრდებულთა განცხადებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ გორის რაიონული სასამართლო განხილული სისხლის სამართლის საქმეების განაჩენების ასლებს მსჯავრდებულებს სისტემატიურად არ გადასცემს კანონით დადგენილ ვადაში; ასევე, არაგონივრულ აჭიანურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრისა და საქმის გადაგზავნას.

საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციით, განაჩენის ასლის მსჯავრდებულისთვის კანონით დადგენილ ვადაში გადაცემის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლების ეფექტიანად გამოყენებისთვის.

2.2. წინადადება მოქალაქის მიმართ შესაძლო დანაშაულის ფაქტთან დაკავშირებით

19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას მოქალაქე ბესიკ დოლბაძის მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით.

პენიტენციური დეპარტამენტის N17 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლის ბესიკ დოლბაძის განცხადებით, 2015 წლის 28 მარტს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N17 დაწესებულებაში ახლადგახსნილ პირველადი ჯანდაცვის ცენტრის სამედიცინო პერსონალს და მსჯავრდებულებს ხვდებოდა, რა დროსაც მსჯავრდებულმა შ.ნ.-მ არასათანადო სამედიცინო მომსახურების გამო უკმაყოფილება გამოხატა.

დოლბაძე მინისტრთან შეხვედრის ადგილას თავის სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. მოქალაქის განცხადებით, შეხვედრის დასრულების შემდგომ მას დაუკავშირდა დაწესებულების დირექტორის მეორე მოადგილე და მომხდარი ფაქტის დეტალები გამოკითხა. მოგვიანებით კი იგი დაწესებულების მაშინდელმა დირექტორმა გიორგი დადეშელმა დაიბარა და დაკავებული თანამდებობის საკუთარი ნებით დატოვება ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე დაითხოვდნენ და პირადი საქმე გაუფუჭდებოდა. ბესიკ დოლბაძის განმარტებით, მან ხელმძღვანელი პირის მხრიდან ზეწოლის შედეგად, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დაწერა პატაკი დაკავებული თანამდებობის დატოვების შესახებ.

საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებაში მიუთითა, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ თავად აწარმოოს საქმეზე გამოძიება, ვინაიდან არსებობს მაღალი რისკი, რომ უფლებამოსილების საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გადაცემის შეთხვევაში, გამოძიება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და გულმოდგინების პრინციპების დაცვით არ წარიმართება.

2.3. წინადადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს

26 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მსჯავრდებულ გ.გ.–ს მიმართ კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება მოითხოვა.

ბაქოს საქალაქო სასამართლომ 1998 წლის 7 ივლისს 1997 წლის 28–29 იანვარს ჩადენილი ქმედების გამო (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), საქართველოს მოქალაქე გ.გ.–ს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2010 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გ.გ.–ს სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოში გადმოყვანის თაობაზე და ამავე განჩინებით გ.გ.–ს სასჯელის სახით კვლავ უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ განჩინების გამოტანისას საერთოდ არ იმსჯელა ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით განსაზღვრულ სასჯელზე და კანონის უკუძალის პრინციპის აკრძალვის დარღვევით გ.გ.–ს უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

2.4. რეკომენდაცია მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ შშმ პირთათვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის თაობაზე

28 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, უზრუნველყოს მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების და „უნივერსალური დიზაინის“ პრინციპის გათვალისწინება, რათა მეტროსადგურის ყველა კომპონენტი (მიწისქვეშა და მიწისზედა შენობები, მეტროდან ამოსასვლელები, ესკალატორები და სხვ.) ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის დებულებების შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი შენობა–ნაგებობის, ტრანსპორტისა თუ კომუნიკაციის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

3. სახალხო დამცველის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები

3.1. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის მე-12 საერთაშორისო კონფერენცია

8–10 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ მექსიკის ქალაქ მერიდაში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის (ICC) მიერ ორგანიზებულ მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. 50-ზე მეტი ქვეყნის ომბუდსმენებმა შეიმუშავეს მერიდას დეკლარაცია, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის მდგრადი განვითარების მიზნების 2030 (SDG) შესრულებაში ომბუდსმენთა განსაკუთრებულს როლს წარმოაჩენს.

საქართველოს სახალხო დამცველი კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა

თავის მოხსენებაში – „ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების როლი, განხორციელების საშუალებები, საუკეთესო პრაქტიკა ათასწლეულის განვი-

თარების მიზნებიდან“ უჩა ნანუაშვილმა ისაუბრა მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის მთავრობების ძალისხმევასთან ერთად ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის მნიშვნელობასა და ომბუდსმენის ინსტიტუტის პასუხისმგებლობაზე. ასევე, მიმოიხილა სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობაში დანერგილი ახალი მიდგომები, გაფართოებული მანდატი, მთავრობის მიერ შემუშავებული ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში სახალხო დამცველის მონაწილეობის პოზიტიური ასპექტები.

სახალხო დამცველმა უცხოელ კოლეგებს რეგიონული ფორუმების შექმნა შესთავაზა, რომლებიც შეაფასებს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მდგომარეობას და დროდადრო შეიმუშავებს საჭირო რეკომენდაციების მთავრობების მისამართით.

კონფერენციის ფარგლებში უჩა ნანუაშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის მმართველი კომიტეტის სხდომაში, რომლის წევრადაც საქართველოს სახალხო დამცველი სხვა ხუთ ევროპელ ომბუდსმენთან ერთად 2013 წელს პირველად იქნა არჩეული.

3.2. რეგიონული კონსულტაცია ჟენევაში

23 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საკითხში გაეროს სპეციალური მომხსენებლის და არასასამართლო, თვითნებურად და გამარტივებული წარმოების წესით სიკვდილით დასჯის საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის მოწვევით, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში გამართულ რეგიონულ კონსულტაციას დაესწრო თემაზე: „ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა მშვიდობიანი პროტესტის კონტექსტში“.

საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად მრგვალ მაგიდაში მონაწილე ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროპისა და აზიის საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენელებმა და თემაზე მომუშავე ექსპერტებმა, ასევე შვეიცარიის პოლიციის თანამშრომლებმა განიხილეს მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები; ისაუბრეს პრაქტიკული რეკომენდაციების შედგენასთან დაკავშირებულ მოლოდინებსა და შესაძლებლობებზე.

3.3. შეხვედრა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან

27 ოქტომბერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხებში ანდრეს პეშკეს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს ბეთინა ქადენბახს შეხვდა.

უჩა ნანუაშვილი და ანდრეს პეშკე

შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვისა და მედიის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა, სახალხო დამცველის და სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის პრინციპები, მართლმსაჯულების სფეროში სამართალდამცავი სტრუქტურებისა და პროკურატურის რეფორმის დეტალები, დევნილთა უფლებრივი მდგომარეობისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საკითხები.

4. სახალხო დამცველისა და მისი აპარატის საქმიანობა

4.1. განცხადება ნგრევად ობიექტებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებასთან დაკავშირებით

6 ოქტომბერი. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში მუდმივად აისახება ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე საცხოვრებელი პირობებისა და იმ ობიექტების შესახებ, სადაც მობინადრეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა მომეტებული საფრთხის წინაშე დგას. სახალხო დამცველის ანგარიშებზე დაყრდნობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ ობიექტებთან დაკავშირებით საექსპერტო დასკვნები მოამზადა,

ხოლო ამჟამად სახალხო დამცველის წარმომადგენლების ჩართულობით, იხილავს თბილისში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების, მათ შორის, ნგრევად ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილების განსახლების საკითხებს.

საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სამინისტრო მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართული იქნება დევნილთა უსაფრთხოებისა და მათი ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფისაკენ.

4.2. გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა

5–6 ოქტომბერს ზუგდიდში სახალხო დამცველის აპარატმა ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“ მხარდაჭერით, ჟურნალისტებისა და ადგილობრივი თვითმართველობების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი გამართა.

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი და ტრენინგის მონაწილე სტუდენტები

სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეკატერინე სხილაძემ და მედია ექსპერტმა ზვიად ქორიძემ გენდერული თანასწორობის, სექსიზმის, სტერეოტიპული დამოკიდებულების და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხები განიხილეს. დისკუსია გაიმართა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაშუქების სენსიტიურობასა და პრინციპებზე.

4.3. სასჯელაღსრულების №2 დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში

7 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ N2 დაწესებულებაში ხშირია უსაფრთხოების თვალსაზრისით ვიზუალური მეთვალყურეობის გამოყენება და პატიმართა შორის ძალადობა. პირობების თვალსაზრისით: სავენტილაციო სისტემა ხარვეზებით მუშაობს; ყველა პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4 კვადრატული მეტრის ფართით; არადამაკმაყოფილებელია სამარტოო საკნების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. მონიტორინგის პერიოდში არ ხდებოდა დაწესებულების მაღაზიის პროდუქციით სათანადო მომარაგება; არ არის დანერგილი მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები. ქალი პატიმრები სრულად ვერ სარგებლობენ გენდერულად სპეციფიკური სამედიცინო მომსახურებით. იგვიანებს ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარება.

2014 წელთან შედარებით, 2015 წელს გაზრდილია დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა. მოიმატა პატიმართა, მათ შორის, ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმართა სამარტოო საკანში მოთავსების შემთხვევებმა. ხანმოკლე პაემნები მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით ხორციელდება; არ არის დაცული სატელეფონო ზარის კონფიდენციალურობა; პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ხშირ შემთხვევაში, არ არის გათვალისწინებული პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი.

გამოიკვეთა არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სამედიცინო გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები.

4.4. განცხადება ქუთაისში პარლამენტთან გამართულ აქციაზე დაკავებული პირების შესახებ

7 ოქტომბერი. სახალხო დამცველის შეფასებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **5 ოქტომბრის** განჩინება, რომლითაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ საქართველოს პარლამენტთან გამართული აქციის მონაწილეებს, ვერ პასუხობს დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მომხდარი იდენტური შემთხვევების დროს, მათ შორის საქართველოს პარლამენტის წევრების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე, ზოგიერთ აქციის მონაწილეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით წაეყენა, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა გამოყენებული როგორც წესი, არ ყოფილა. აღნიშნული კი აჩენს შერჩევითი მართლმსაჯულების ეჭვს და არ აძლიერებს ნდობას საქართველოს პროკურატურისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

საქართველოს სახალხო დამცველმა კიდევ ერთხელ გამოხატა სასამართლო ხელისუფლებისადმი სრული პატივისცემა და ხაზი გაუსვა მის საქმიანობაში ჩაურევლობის მნიშვნელობას. ამასთან, აღნიშნა, რომ აუცილებლად მიაჩნია, სასამართლოს განჩინება, რომლითაც იზღუდება პირის თავისუფლება, იყოს სანიმუშოდ დასაბუთებული, არ აჩენდეს პასუხგაუცემელ კითხვებს და შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს სტანდარტს.

4.5. სახალხო დამცველი „კურიერში“ გასულ რეპორტაჟს გამოეხმაურა

9 ოქტომბერს, ტელეკომპანია „რუსთავი 2–ის“ საინფორმაციო გადაცემა „კურიერმა“ რეპორტაჟი მოამზადა ახმედ ჩატაევის ამერიკის შეერთებული შტატების ტერორისტთა გლობალურ სიაში შეყვანის ფაქტზე. რეპორტაჟის მთელი პათოსი იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოსდა ამჟამინდელი სახალხო დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პერიოდში „ტერორისტ“ ახმედ ჩატაევს იცავდა და მის გათავისუფლებას მოითხოვდა, დღეს კი ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებს.

დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ახმედ ჩატაევი თბილისის საქალაქო სასამართლომ გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში და გაათავისუფლა.

სახალხო დამცველმა შეახსენა მედიაკომპანიას, რომ იგი დღემდე მოითხოვს 2012 წლის აგვისტოში, ლოპოტას ხეობაში მომხდარი სპეცოპერაციის გამოძიებას; გამოძიებამ, მათ შორის პასუხი უნდა გასცეს ახმედ ჩატაევის და იმ დროს შს სამინისტროს არაერთი თანამშრომლის როლს სოფელ ლაფანყურში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, თუმცა, გამოძიება უშედეგოდ გრძელდება.

მედია ორგანიზაციების მიერ განზრახ არასწორი ინფორმაციის გავრცელება აზარალებს არამხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ არსებულ ნდობას, არამედ თავად ამ მედია საშუალებას. ამიტომ, სახალხო დამცველმა მოუწოდა „რუსთავი 2-ს“ პატივი სცეს თავის პროფესიულ საქმიანობას, თავი შეიკავოს არასწორი ფაქტების გავრცელებისაგან და კეთილსინდისიერი საქმიანობით ხელი შეუწყოს ჯანსაღი და მაღალკვალიფიციური მედია გარემოს ჩამოყალიბებას ქვეყანაში.

4.6. შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებთან

13 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებს ბორის სილევიჩს და კერსტინ ლუნდგრენს შეხვდა, შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კრისტიან ურსე.

სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მდგომარეობის შესახებ. ისაუბრა პენიტენციურ სისტემაში არსებულ ვითარებაზე, სოციალურ საკითხებზე, დევნილთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე; განიხილა ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულების მონიტორინგის მიმდინარეობა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

პაატა ბელთაძემ ხაზი გაუსვა, რომ კვლავ აქტუალურია სახალხო დამცველის მთავარი რეკომენდაცია – დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე, რაც ხელს შეუწყობს გამოძიების დამოუკიდებლობისა და ეფექტურობის ხარისხს ამაღლებას; ასევე, გაზრდის მოსახლეობის ნდობას სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ.

4.7. შეხვედრა ევროსაბჭოში სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებზე

15 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე ნათია კაციტაძე და სახალხო დამცველის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირის ადამიანის უფლებათა სააგენტოს, ევროპის თანასწორობის ინსტიტუტების ქსელის და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებს შორის სტრასბურგში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ.

შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში. მხარეები ცნობიერების ამაღლებისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის მხრივ უფრო აქტიურ მუშაობაზე შეთანხმდნენ.

შეხვედრაზე საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მიერ ევროპის განახლებული სოციალური ქარტიის 2005 წელს რატიფიცირების მიუხედავად, არის რიგი მუხლები, რომელიც ქართული მხარეს არ მიუღია და საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურ მუშაობას გეგმავს ამ მიმართულებით.

4.8. მრგვალი მაგიდა ოსური თემის გააქტიურების საკითხებზე

16 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ოსური თემის როლის გააქტიურების, ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მრგვალ მაგიდა გამართა. შეხვედრაში მონაწილე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს ოსური თემის მდგომარეობა საქართველოში, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა მათი უფლებების დასაცავად, ოსური სამოქალაქო ორგანიზაციების გამოცდილება კონფლიქტით დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით და ის გამოწვევები, რომლებიც ამ ორგანიზაციების წინაშე დგას. ისაუბრეს ოსური საზოგადოების სამშვიდობო პროცესში ჩართულობისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის აუცილებლობაზეც.

4.9. სახალხო დამცველი პლაკატების გაკვრის გამო სამი პირის დაკავებას გამოეხმაურა

საქართველოს სახალხო დამცველმა გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვად მიიჩნია პოლიციელების ქმედებები **16 ოქტომბერს,** რუსთაველის გამზირზე, ოპერის წინ მდებარე სამშენებლო ღობეზე პლაკატების გაკვრის გამო, ტელეკომპანია „ტაბულას“ მთავარი რედაქტორის თამარ ჩერგოლეიშვილის, არხის გენერალური პროდიუსერის ლექსო მაჭავარიანისა და სტუდენტი სალომე ხვადაგიანის დაკავება და მათ მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა. ოქმში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებაა მითითებული.

4.10. წამების და სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელების შესახებ

18 ოქტომბერი. სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს უმოკლეს ვადებში დასრულდეს 17 ოქტომბერს დაწყებული გამოძიება – წამების და სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეო კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით, როდესაც სხვადასხვა პირებმა და ორგანიზაციებმა ზუგდიდსა და თბილისში ქართველი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ სექსუალური ძალადობის ამსახველი ვიდეომასალის საჯარო ჩვენება მოაწყვეს.

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითებზე მომუშავე დროებითმა კომისიამ, რომლის წევრი სახალხო დამცველიც იყო, შესაბამის ორგანოებს ჯერ კიდევ 2014 წლის 31 იანვარს მიმართა ეფექტური გამოძიების ჩატარებისა უკანონო ქმედებებში მონაწილე პირთა დასჯის რეკომენდაციით.

საკითხის სიმძიმის გათვალისწინებით, **20 ოქტომბერს** სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ გამოეხმაურა **სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრების საჯაროდ ჩვენების ფაქტს** და ხელისუფლების შესაბამის უწყებებს რეაგირებისკენ მოუწოდა.

ფარული, უკანონო ჩანაწერები არ არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის და თუკი ასეთი ჩანაწერები გარეშე პირთა ხელში აღმოჩნდა, სავარაუდოდ, ეს დანაშაულებრივი გზით მოხდა, რაზეც ეფექტური და სწრაფი გამოძიება უნდა ჩატარდეს. ამასთან, გამოძიება უნდა დაინტერესდეს, იყვნენ თუ არა სამართალდამცავი ორგანოები ინფორმირებული თბილისსა და ზუგდიდში გამართული საჯარო ჩვენებების თაობაზე და გამოიყენეს თუ არა მათ ხელთ არსებული ბერკეტები დანაშაულის, პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების აღსაკვეთად.

უპირატესობა მსხვერპლთა ინტერესების დაცვას უნდა მიენიჭოს, რომლებიც ჩვენს გვერდით აგრძელებენ ცხოვრებას და გაცილებით ნაკლებია იმ ინტერესის მნიშვნელობა, რომელიც ამ ადამიანების უფლებების დაცვას გადაწონის. მითუმეტეს, მიუღებელია მსგავსი საჯარო ჩვენებების ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელდასმით ჩატარება.

შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან

თავისი პოზიცია სახალხო დამცველმა **27 ოქტომბერს** საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარ-

გველაშვილთან **გამართულ შეხვედრაზეც გააჟღერა.** მისი თქმით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებიდან მხოლოდ ერთეული საქმეების გამოძიებაა დასრულებული.

4.11. დეპორტაციის პროცესის მონიტორინგი

სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების იმპლემენტაციის ფარგლებში **20 ოქტომბერს** ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოს 35 მოქალაქის დეპორტაციის ერთობლივი პროცესს გაუწიეს მონიტორინგი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ესკორტს გერმანიიდან, შვეიცარიიდან და ბულგარეთიდან დეპორტირებული პირები დიუსელდორფსა და სოფიაში გადასცეს. დეპორტაციის განხორციელებას კოორდინირებას ევროპული ორგანიზაცია „ფრონტექსი“ უწევდა. დაბრუნების ოპერაციის მიმდინარეობისას დეპორტირებული პირების უფლების დარღვევის ფაქტი არ გამოვლენილა.

4.12. შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

19 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭომ მეორე სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრას საქართველოს სახალხო დამცველი, მისი მოადგილეები, აპარატის წარმომადგენლები და საბჭოს მოწვეული წევრები ესწრებოდნენ.

საკონსულტაციო საბჭოს მეორე სამუშაო შეხვედრა

შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრების შერჩევისა და მონიტორინგის ჯგუფის დებულების მომზადების პროცესზე ისაუბრეს. ასევე, დაიგეგმა განსახორციელებელი აქტივობები.

4.13. ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ

21 ოქტომბერი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებული შესწავლის საგანი უნდა გახდეს „რუსთავი 2“–ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებული განცხადება, არხის დასაცავად „ზედმეტი აქტიურობის“ გამოჩენის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე მითითებისა და გარკვეული ინფორმაციის შემცველი ვიდეო და აუდიოჩანაწერების გამოქვეყნების მუქარის შესახებ.

4.14. საქართველოს სახალხო დამცველი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა

23 ოქტომბერი. ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ საკითხზე მიმდინარე სასამართლო პროცესისა და ძალადობის ამსახველი კადრების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ ვინაიდან, ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი პროკურატურის სათანადო დამოუკიდებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური გუნდისაგან, განსაკუთრებული პასუხისმგებლობის მქონე მაღალი თანამდებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისა თუ მოქმედებებისაგან, რომელმაც შესაძლოა ვითარების კიდევ უფრო მეტი დაძაბვა, ძალადობა და აგრესია გამოიწვიოს; ამასთან, შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს გამოძიების მიუკერძოებლად და ეფექტურად წარმართვა, რაც მოსახლეობას სამართლიანობისადმი ნდობას დაუკარგავს.

სახალხო დამცველი მიესალმება „ფეისბუქზე“ გამოქვეყნებული ძალადობისაკენ მოწოდების ფაქტზე გამოძიების დაწყებას. მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა არ გააჩინონ დაუსჯელობის განცდა, დროული რეაგირება იქონიონ თითოეულ ასეთ ფაქტთან დაკავშირებით და ამ სახით აღკვეთონ მათი სამომავლო განმეორების შესაძლებლობა.

4.15. პრევენციის ეროვნული მექანიზმის კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი №2

28 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მეორე კვარტალური, საინფორმაციო ბიულეტენი გამოსცა. ბიულეტენში შესულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, ღონისძიებები, ანგარიშები. ბიულეტენში განხილულია ეროვნული საკანონმდებლო ბაზა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების თავისებურებები განსაკუთრებული რისკის შემცველ პენიტენციურ დაწესებულებში. ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს წევრის გივი მიქანაძის მოსაზრებები; საერთაშორისო სიახლეები და მომავალი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

4.16. ევროპის საბჭოს ახალი პროექტი სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებისათვის

29 ოქტომბერს გაიმართა ევროპის საბჭოს ახალი პროექტის პრეზენტაცია „სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაუმჯობესება საქართველოში“. პროექტი მიზნად ისახავს, სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის გაძლიერებას შეუწყნარებლობისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, სახალხო დამცველის ოფისის მიერ „სასამართლო მეგობრის“ ინსტიტუტის აქტიური გამოყენების ხელშეწყობას, სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების გაძლიერებას ინდივიდუალური საქმეების მუშაობის კუთხით, ოფისის ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდას.

ევროპის საბჭოს ახალი პროექტის პრეზენტაცია

პროექტი ევროპის საბჭოს მიერ საქართველოსთვის დამტკიცებული 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დახმარებას.

4.17. ტრენინგი სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმების შესახებ

27–28 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატმა ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ევროპული აკადემიის და სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ტრენინგი გამართა თემაზე – „ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები“.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსის ლექცია სტუდენტებთან

სახალხო დამცველის საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკო თათულაშვილმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტმა გიორგი გოცირიძემ ტრენინგის მონაწილე 30–მდე სტუდენტთან განიხილეს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების განსაზღვრის საკითხები, აბსოლუტური და შეფარდებითი უფლებები, საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციები, თანასწორობის უფლების ეროვნული სტანდარტები, სახალხო დამცველის და სასამართლოს ანტიდისკრიმინაციული მანდატი, საქართველოს სახალხო დამცველის როლი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და ხელშეწყობაში.

ღონისძიება ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება“ ფარგლებში ჩატარდა.

4.18. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დაწინაურების პროცესთან დაკავშირებით

30 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა იუსტიციის საბჭოს მიერ მოსამართლეთა დაჩქარებული წესით, უკონკურსოდ დანიშვნის პროცესი.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უმრავლესობამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებები და მიიღო სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დაწინაურების თაობაზე. მოგვიანებით კი, ნაჩქარევად დაადგინა მოსამართლის სხვა სასამართლოში მოსამართლედ კონკურსის გარეშე დანიშვნის წესი და ამ წესის შესაბამისად დაიწყო მოსამართლეებთან გასაუბრების პროცესი.

სახალხო დამცველისთვის კატეგორიულად მიუღებელია სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა გადაყვანა/დაწინაურების პროცესის დაწყება ობიექტური, მკაფიოდ გაწერილი, სამართლიანი და გამჭვირვალე კრიტერიუმისა და პროცესის არარსებობის პირობებში. ამასთან, არ რჩება შთაბეჭდილება რომ საბჭოს წევრების უმრავლესობა დაინტერესებულია კანდიდატების სამოსამართლო უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენითა და შეფასებით. სამწუხაროდ, გასაუბრების პროცესის მნიშვნელოვანი ხარვეზებით მიმდინარეობა საფრთხეს უქმნის სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და სასამართლოში მიმდინარე პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საბჭოს წევრები პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მათ მიერ აღებულ ვალდებულებას, რომლის მიმართაც საზოგადოებასა და პროფესიულ წრეებში უკვე არსებობს ლეგიტიმური კითხვები და წარმართონ პროცესი ისე, რომ მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები, გარეშე დამკვირვებლისათვის იყოს ობიექტური და დასაბუთებული.

4.19. შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია პრაღაში

25–27 ოქტომბერს სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ და თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ გაბიანმა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გამართულ შეიარაღებული ძალების ომბუდსმენთა მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცია ორგანიზებული იყო შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ცენტრისა (DCAF) და ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ, რომელსაც 37 ქვეყნის სამხედრო პირთა უფლებადამცველი ინსტიტუტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე განიხილეს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება სამხედრო პირთა უფლებების დაცვის საკითხებში, სამხედრო ომბუდსმენთა როლი სამხედრო ძალების სამოქალაქო და დემოკრატიული კონტროლის საკითხებში, სამხედრო მოსამსახურეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ასევე, შეთანხმდნენ ომბუდსმენთა ინსტიტუტების სამომავლო თანამშრომლობაზე.

4.20. სავალდებულო სამხედრო სამსახურის დადებითი და უარყოფითი მხარეები

30 ოქტომბერს სახალხო დამცველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო დებატები გამართა თემაზე: სავალდებულო სამხედრო სამსახურის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დებატებზე მოხსენებით წარსდგნენ სახალხო დამცველის თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსი თამარ გაბიანი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსი გოგა ხარშილაძე.

ისაუბრეს სავალდებულო სამხედო სამსახურში გაწვევის პროცედურებსა და დარღვევებზე, სამედიცინო ხასიათის ხარვეზებზე, სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეების ფუნქციებზე; თავდაცვის სამინისტროში ამ თვალსაზრისით მიმდინარე რეფორმაზე. განიხილეს საერთაშორისო პრაქტიკაც და ახალი კონცეფციის პერსპექტივებიც.

საჯარო დებატებში მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს გააგრძელონ მუშაობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ადამიანის უფლებათა სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით.

5. წარმატებული საქმეები

5.1. სახალხო დამცველის ძალისხმევით, მოქალაქეს სოციალური დახმარება აღუდგა

სახალხო დამცველის აპარატის წერილის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტომ გამოავლინა სოციალური აგენტების მხრიდან მოქალაქეების განაცხადებზე რეაგირების ვადების

დარღვევის ფაქტი, რის გამოც მათ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით მიეცათ გაფრთხილება, ხოლო მოქალაქე მ.ც.-ს **ოქტომბრის თვიდან** აღუდგა სოციალური დახმარება.

5.2. სოციალური მომსახურების სააგენტომ სოციალურად დაუცველი ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდის არასწორად დაფიქსირების სკითხი განიხილა

სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტომ დაადგინა, რომ მოქალაქე ლ.პ.-ს განაცხადის შესწავლის პროცესში სოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლებმა არასწორად დააფიქსირეს ოჯახის საიდენტიფიკაციო კოდი, რამაც ლ.პ.-ს უფლებების დარღვევა გამოიწვია. აღნიშნულის საფუძველზე, სააგენტოს პასუხისმგებელ პირებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობა. ასევე, დამატებით გადამოწმდა ლ.პ.–ს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

5.3. სახალხო დამცველის ძალისხმევით, სოციალური მომსახურების სააგენტომ თავის თანამშრომელთა გულგრილობით გამოწვეული ხარვეზები აღმოფხვრა

საქართველოს სახალხო დამცველს დახმარებისთვის მიმართა მოქალაქე ე.ი.-მ., რომელიც აღნიშნავდა, რომ სოციალური აგენტის მიერ არასწორად შევსებული დეკლარაციის საფუძველზე სოციალური დახმარება შეუწყდა. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საკითხი და დაადგინა უზუსტობები. კერძოდ, დეკლარაციის „E“ ბლოკში „კომუნალური ხარჯები“ - გადახდილი თანხები არასწორად იყო მითითებული. სახალხო დამცველის მიმართვის შედეგად, სოციალური მომსახურების სააგენტომ დაადგინა დარღვევა და მონაცემების არასწორად შეტანის ფაქტის გამო სოციალურ აგენტს დააკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ხოლო ოჯახისთვის სოციალური დახმარების აღდგენის საკითხი კომისიის უახლოეს სხდომაზე განიხილება.

6. მნიშვნელოვანი თარიღები

6.1. 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეა

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უზრუნველყონ საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობა, ასევე მათთვის საჭირო სამედიცინო და სოციალური დაცვის ღონისძიებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხანდაზმულთა უფლებებზე და მათი დაცვის მიზნით საჭირო რეკომენდაციებით მიმართავს შესაბამის უწყებებს; მათ შორის მნიშვნელოვანია მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ფარგლებში ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღების რეკომენდაცია.

ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს საქართველოს სახალხო დამცველმა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში **ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ** პრევენციის ეროვნული მექანიზმისა და სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მონიტორინგის ანგარიში წარმოადგინა.

ხანდაზმულთა პანსიონატების მონიტორინგის ანგარიშის პრეზენტაცია

თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატებში, ასევე, ხანდაზმულთათვის მომსახურების მიმწოდებელ 5 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით, არსებული მდგომარეობა ბენეფიციართა სრული იზოლაციის საფრთხეს ქმნის.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა დაადასტურა სისტემაში არსებული სირთულეები და პრობლემის აღმოფხვრისთვის მთავრობის მთელი გუნდის კონსოლიდირებული მუშაობის საჭიროებაზე ისაუბრა.

პრეზენტაციის შემდეგ გამართულ დისკუსიაზე საქართველოს პარლამენტის, სამთავრობო უწყე-

ბებისა და ხანდაზმულთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე იმ პანსიონატების უფლებამოსილმა პირებმა, რომელთა დაწესებულებებშიც განხორციელდა მონიტორინგი, პრობლემის მოგვარების გზები განიხილეს და ერთიანი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობაზე ისაუბრეს.

6.2. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

10 ოქტომბერი ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეა. მისი აღნიშვნის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მსოფლიოს მასშტაბით მხარდამჭერი ღონისძიებების მობილიზება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის დღის თემაა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ღირსება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობის განსხვავებული მდგომარეობის მიუხედავად, ყველა ადამიანის უფლება ღირსების დაცვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა იქნეს რეალიზებული. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკის, კანონმდებლობისა და პროგრამების განხორციელების გზით, ხელი შეუწყოს ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირთა ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფას.

7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

7.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ

15 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად იმსჯელა სირიაში მოქალაქეების დაბრუნების საკითხზე და საქმეზე ლ.მ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ გადაწყვეტილება გამოიტანა.

საქმე ეხება რუსეთიდან სამი მამაკაცის მოსალოდნელ გაძევებას სირიაში და მათ პატიმრობას გაძევების მოლოდინში. კერძოდ, 2014 წელს ეროვნულმა სასამრთლომ განმცხადებლები დამნაშავედ სცნო რუსეთის ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე, ბინადრობის წესების დარღვევისა და მუშაობის შესაბამისი ნებართვის გარეშე საქმიანობის გამო. თუმცა, მათი გაძევება არ განხორციელდა და ისინი რჩებოდნენ გაძევების მოლოდინში ევროსასამართლოში საქმის განხილვის მანძილზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლების სირიაში დაბრუნება გამოიწვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) ან/და მე–3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებმა წარმოადგინეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სირიაში დაბრუნება რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა მათ სიცოცხლესა და პირად უსაფრთხოებას.

ამასთან, სასამართლომ საქმეზე დაადგინა კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევა, რადგანაც გაძევების მოლოდინში განმცხადებლები დაკავების ვადების განსაზღვრის გარეშე რჩებოდნენ პატიმრობაში; მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა მიემართათ სასამართლოსთვის, რომელიც განიხილავდა მათი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს; ასევე, არ ჰქონდათ წარმომადგენლებთან შეუფერხებლად შეხვედრის შესაძლებლობა. განმცხადებლების საჩივრებს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებიდან არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება.

სასამართლომ საქმეზე ინდივიდუალური სახის ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა რუსეთს, იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლების დაკავება, რუსეთის ეროვნული სასამართლოს 2014 წლის მაისის საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ, რომელმაც ძალაში დატოვა განმცხადებლების გაძევების შესახებ გადაწყვეტილება, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე–5 მუხლს. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა უნდა უზრუნველყოს ორი მომჩივნის, რომლებიც აქამდე პატიმრობაში რჩებიან, დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

7.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი ბრიტანეთის მიმართ

20 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე შერი და სხვები დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ, არ დააკმაყოფილა სამი სტუდენტის საჩივარი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თითქმის ორი კვირის მანძილზე მათი დაკავება ყოველგვარი ბრალდების გარეშე, ასევე მათ მიმართ განხორციელებული პროცესუალური ხარვეზები, წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევას.

კერძოდ, კონტრტერორისტული ოპერაციის ფარგლებში პაკისტანის სამი მოქალაქე 13 დღის განმავლობაში დაკავებული იყვნენ და საბოლოოდ ყოველგვარი ბრალის წარდგენის გარეშე გათავისუფლდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ სასამართლოს გადაწყვეტილებით ორჯერ გაუხანგრძლივდათ პატიმრობის ვადა. ამის შემდეგ ისინი გადაიყვანეს საიმიგრაციო დაკავების ცენტრში და განმცხადებლები ნებაყოფლობით დაბრუნდნენ პაკისტანში.

სტუდენტები ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ განცხადებაში ჩიოდნენ, რომ ერთ–ერთი სასამართლო სხდომა მცირე ხნით დახურულ რეჟიმში წარიმართა და მასზე განმცხადებლები და მათი წარმომადგენლები არ დაუშვეს. ამასთან, ეჭვქვეშ აყენებდნენ დაკავებისას მათ საცხოვრებელ სახლებში განხორციელებული ჩხრეკის კანონიერებას.

თავის გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა ტერორიზმის განსაკუთრებულ ხასიათზე და აღნიშნა, რომ განმცხადებლების შემთხვევაში სასამართლო სხდომის დახურულ რეჟიმში გამართვა და სხვა შეზღუდვები გარდაუვალი ტერორისტული თავდასხმის საფრთხისა და ეროვნული უსაფრთხოების მოსაზრებებით იყო დასაბუთებული. ანალოგიურად, სასამართლომ დაადგინა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლითა და სიტუაციის განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე, განმცხადებლების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის კანონიერება ფართო მნიშვნელობით გაცემული ორდერის საფუძველზე განხორციელდა.

8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

8.1. სოციალური სარეკლამო რგოლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე

26 ოქტომბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსებულია სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომზადებული სოციალური სარეკლამო რგოლი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის სხვადასხვა უფლებით სარგებლობის შემთხვევებს ასახავს. მისი მთავარი გზავნილი სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის ყველა ძირითადი უფლებით და თავისუფლებით თანაბარ პირებში სარგებლობის აუცილებლობა.

კლიპი მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ომბუდსმენის ოფისს, მათი უფლების დარღვევის შემთხვევაში.

8.2. კონკურსი „მე – ომბუდსმენი 2015“ დაიწყო!

26 ოქტომბერს მეექვსედ დაიწყო კონკურსი „მე – ომბუდსმენი“, რომელიც უნიკალურ შანსს აძლევს 13-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს გაეცნონ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საფუძვლებს და სახალხო დამცველის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის საქმიანობას.

ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი კულტურა სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად წინაპირობას წარმოადგენს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ორგანიზებული კონკურსი ამ კულტურის გავრცელების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

კონკურსი ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ დაფინანსებით.

8.3. კონკურსი სტუდენტებისთვის

29 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაცხადა კონკურსი თემაზე – „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა როლი, კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენაში“.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. კონკურსის ორგანიზატორია საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“.

8.4. მომართვიანობის სტატისტიკა

ოქტომბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 755 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ 648 განცხადებები **სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:**

- პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 2
- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 66
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 313
- რეგიონული სამმართველო — 186
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 34
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 10
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 24
- თანასწორობის დეპარტამენტი — 7
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 6



ოქტომბრის თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა:

- პატიმართა უფლებები — 283
- სამოქალაქო უფლებები — 28
- სოციალური უფლებები — 110
- ეკონომიკური უფლებები — 15
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება — 12
- რელიგიური საკითხები — 2
- ბავშვის უფლებები — 28
- გენდერული თანასწორობის საკითხები — 8
- შშმ პირთა უფლებები — 14
- სასამართლო მეგობარი — 5
- საკანონმდებლო საკითხი — 2
- დისკრიმინაცია — 4
- კონფლიქტური რეგიონებიდან შემოსული განცხადებები — 1



კონტაქტი

ცხელი ხაზი – 1481

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 591 883538
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის ქ. №9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
ნიკო თათულაშვილი